პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 28 იანვარი, 1944 წ. № 19 (6913). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ გოვოროვს

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა, განავითარეს რა შეტევა, 25 იანვარს ღამით იერიშით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი გატჩინა (კრასნოგვარდეისკი), რომელიც გერმანელებს გადაქცეული ჰქონდათ ხანგრძლივი თავდაცვითი ნაგებობების განვითარებული სისტემით აღჭურვილ ციხე-სიმაგრედ.

ქალაქ გატჩინის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ მასლენნიკოვის, გენერალ-მაიორ ტიხონოვის, გენერალ-მაიორ ანისიმოვის, გენერალ-მაიორ ტრუბაჩევის, გენერალ-მაიორ რატოვის, გენერალ-მაიორ ზაიონჩკოვსკის, გენერალ-მაიორ იაკუტოვიჩის, პოლკოვნიკ ლიაშჩენკოს, პოლკოვნიკ ბურმისტროვის, პოლკოვნიკ დემიდოვის, პოლკოვნიკ ბატლუკის ჯარებმა, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ოდინცოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ მიხალკინის, პოლკოვნიკ რაგოზინის, პოლკოვნიკ ზნამენსკის არტილერისტებმა, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბარანოვის, პოლკოვნიკ ეუკოვის ტანკისტებმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ რიბალჩენკოს, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სამოხინის მფრინავებმა და პოლკოვნიკ რუსისა და პოდპოლკოვნიკ ლომაჩინსკის მესანგრეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „გატჩინის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 იანვარს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის ორმეტი საარტილერიო ზალპით ხალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი გატჩინა.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ გატჩინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წ. 26 იანვარი.

კიბბურუნი

ბაქსანის ჰიდროელექტროსადგური, ამხანაგებს გინდინს, ზურაბოვს, ცისკრელს

ჟულოცავ ბაქსანის ჰიდროსადგურის მშენებლებსა და მემონტაჟეებს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა წარმატებით აღდგენას და პირველი ჰიდროტურბინის ამუშავებას.

თქვენი სანიმუშო მუშაობით თქვენ დაამტკიცეთ, რომ გერმანელ ფაშისტ ბარბაროსთა მიერ დანგრეული ელექტროსადგურების აღდგენის ძალი ამოცანა შეიძლება გადაჭრილ იქნას მოკლე ვადებში.

გისურვებთ შემდგომს წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

ი. სტალინი

ბრძანება
ლენინგრადის ფრონტის ჯარებისადმი

ამხანაგებო, ლენინგრადის ფრონტის ჯარების წითელარმიელებო, სერჟანტებო და ოფიცრებო! წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მეზღვაურებო! ლენინის ქალაქის მშრომელებო!

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა თორმეტი დღის დაძაბული ბრძოლების შედეგად ლენინგრადთან მთელ ფრონტზე გაარღვიეს და დასძლიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული, ღრმად ეშელონირებული ხანგრძლივი თავდაცვა, იერიშით დაიკავეს მტრის წინაალმდეგობის უძნიშვნელოვანესი კვანძები და დასაყრდენი პუნქტები ლენინგრადთან: ქალაქები **კრასნოე სელო, როპშა, ურიცკი, პუშკინი, პავლოვსკი, მგა, ულიანოვკა, გატჩინა** და სხვები და, წარმატებით ავითარებენ რა შეტევას, გაათავისუფლეს 700-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და უკუაგდეს მოწინააღმდეგე ლენინგრადიდან მთელ ფრონტზე 65-100 კილომეტრით. ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება.

შეტევის მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა განადგურეს მტრის ჯარები, რომლებსაც ლენინგრადისათვის ალყა ჰქონდათ შემორტყმული, და ხელთ იგდეს დიდი დავლა.

ბრძოლების შედეგად გამოყოფილია ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა: ქალაქი ლენინგრადი სავსებით განთავისუფლებულია მტრის ბლოკადისაგან და მოწინააღმდეგის მიერ არტილერიის ბარბაროსული დაშენისაგან.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად და მტრის ბლოკადისაგან ლენინგრადის სრული განთავისუფლების ნიშნად, დღეს, 27 იანვარს, 20 საათზე, ლენინის ქალაქი სამას ოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ლენინგრადის ფრონტის შამაც ჯარებს.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ ფრონტის ყველა ჯარს და წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მეზღვაურებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბლოკადისაგან ლენინგრადის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

ლენინგრადის მოქალაქენო! შამაცო და მტკიცე ლენინგრადელებო! ლენინგრადის ფრონტის ჯარებთან ერთად თქვენ დაიცავით ჩვენი მშობლიური ქალაქი. თქვენი გმირული შრომით და ფოლადისებური გამძლეობით გადალახეთ ბლოკადის ყოველი სიძნელე და ტანჯვა, სუედავდით მტერზე გამარჯვების იარაღს და მთელს თქვენს ძალებს ახმარებდით გამარჯვების საქმეს.

ლენინგრადის ფრონტის ჯარების სახელით გილოცავთ ლენინგრადთან დიდი გამარჯვების ღირსშესანიშნავ დღეს.

დიდება ლენინგრადის ფრონტის მეომრებს!

დიდება ლენინის ქალაქის მშრომელებს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ლენინის ქალაქისა, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ დიდი სტალინის წინამძღოლობით — წინ, ჩვენი მიწა-წყლიდან გერმანელ მტაცებელთა სრული განდევნისათვის!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

ლენინგრადის ფრონტის ჯარების სარდალი არმიის გენერალი
ლ. გოვოროვი

სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-ლეიტენანტი
ა. ჟდანოვი

სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-ლეიტენანტი
ა. კუზნეცოვი

ფრონტის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი
დ. გუსევი

სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-მაიორი
ნ. სოლოვიოვი.

1944 წლის 27 იანვარი

ხორცისა და რძის მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კვების პროდუქტებით მომარაგების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 23 იანვრის ბრძანებულებით დაჯილდოებულია ხორცისა და რძის მრეწველობის მუშაკთა დიდი ჯგუფი. დოჯილდოებულთა შორის საქართველოს სს რესპუბლიკიდან არიან:

შრომის წითელი დროშის ორდენით

ბერიშვილი კონსტანტინე ალექსის-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარი.

რაზმაძე ივანე გიორგის-ძე — თბილისის ხორცკომბინატის სალახო.

სანაძე დავით ილიას-ძე—თბილისის ხორცკომბინატის დირექტორი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ავეტისოვი გიორგი გრიგოლის-ძე — საქართველოს სს რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

კახიანი ევგენია ოფრასიონის-ასული—თბილისის მაცივარკომბინატის მუშა.

ფარფალია რაჟდენ კონსტანტინეს-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის „ზაგოტსკოტის“ აფხაზეთის კანტორის მმართველი.

ხუსიდი ვენიამინ მენდელის-ძე—ფოთის მაცივრის დირექტორი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

მჭედლიშვილი არჩილ ალექსის-ძე — თბილისის ხორცკომბინატის სამჭედლის უფროსი.

სხირტლაძე პეტრე მარკოზის-ძე—თბილისს მაცივარკომბინატის ავტოტრანსპორტის უფროსი. (საკვლევი).

უკანასკნელი ცნობები
ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 27 იანვარი (საკვლევი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა ავიაცია წარმატებით დასცხა თავს იაპონიის ობიექტებს სიმპსონის ნავსადგურსა და კერავიის ყურეში (ახალი ბრიტანეთი). ჩაძირულია 5 სატვირთო გემი და 1 ტანკერი; 2 სხვა ტანკერი დაზიანებულია. იაპონელთა იმ სამოცი ავიაგამანადგურებლიდან, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მოკავშირეთა ავიაციის მოქმედებისათვის, ჩამოგდებულია 24 ავიაგამანადგურებელი. მოკავშირეთა ზარალი უმნიშვნელოა.

ჩუნცინი, 27 იანვარი (საკვლევი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკელთა „მიტჩელის“ მარკის ბომბდამშენებმა ჩინეთის სამხრეთ სანაპიროსთან ჩაძირეს იაპონელთა საშუალო წყალწყვის 5 სატვირთო გემი და 1 ხომალდი. ფუჯოუს სანაპიროსთან (ფუძიანის პროვინცია) იაპონელთა ბადრაგზე ამერიკის ავიაციის თავდასხმის დროს ჩაძირული იყო იაპონელთა 5 სატვირთო გემი.

საინფორმაციო ცნობა
საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შესახებ

ამ დღეებში მოსკოვში შესდგა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს წინადადებანი თავდაცვისა და საგარეო ურთიერთოგბათა დარგში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების შესახებ და მოიწონა ეს წინადადებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიაზე წარსადგენად.

შემდეგ პლენუმმა მსჯელობა იქონია იმ ორგანიზაციული ხასიათის საკითხებზე, რომლებიც განხილულ უნდა იქნას უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ.

გარდა ამისა, პლენუმმა სწორად სცნო სათანადო ორგანოების გადაწყვეტილება — შეეცვალოს ძველი სახელმწიფო ჰიმნი „ინტერნაციონალი“ ახალი სახელმწიფო ჰიმნით «Союз нерушимый республик свободных» და დატოვებულ იქნას ჰიმნი „ინტერნაციონალი“, როგორც ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტური პარტიის ჰიმნი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
26 იანვრის ოპერაციული ცნობიდან

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, 25 იანვარს ღამით იერიშით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი გატჩინა (კრასნოგვარდეისკი).

26 იანვრის განმავლობაში გატჩინის დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთითა და სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, დიაკავეს დასახლებული პუნქტები კლიასინო, შუნდოროვო, კასკოვო, კანდოკიულია, ფურაბოვო, ფედნიკოვო, ლუსიკოვიცი, ვალერიანოვკა, მალიე და ბოლშიე ბორნიცი, ილკინო, პარიცი, მალოე კოლპანო, პროლეტარსკაია სლობოდა, ბოლშაია ზაგვოზდკა, პიუმა, პუსტოშკა და რკინიგზის სადგური ვოისკოვიცი.

ტოსნოს დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები საბლინო, ნოვო-ლიისინო, სუსანინო, აგრეთვე რკინიგზის საკვანძო სადგური ნოვო-ლისინო და რკინიგზის სადგურები ბალაშოვკა, სტეკოლნი, სემრინო, სუსანინო.

1944 წლის 14-დან 25 იანვრამდე წარმოებული შეტევის განმავლობაში ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა შემდეგი ზარალი მიაყენეს გერმანელ ფაშისტთა ჯარებს:

შეტევითი ბრძოლების მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაამარცხეს ათი ქვეითი დივიზია და მძიმე ზარალი მიაყენეს ორ ქვეითს დივიზიას.

ტყვეთა ცნობებით, ხელთ ვიგდეთ შემდეგი დავლა: 619 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, მათ შორის 150 მილიმეტრიდან 406 მილიმეტრამდე ყალიბის 116 მძიმე ქვემეხი, 454 სხვადასხვა ნაღმსატყორცანი, 20 თვითმავალი ქვემეხი, 1.360 ტყვიამფრქვევი, 7.286 შაშხანა და ავტომატი, 60 ტანკი, 24 ჯავშნიანი მანქანა, 173 ათასი ყუმბარა, 85 ათასი ნაღმი, 9 მილიონამდე ცალი შაშხანის ვაზნა, 850 ავტომანქანა, 413 ხაზიდარი სხვადასხვა ტვირთიანად, 300 ცხენი, 65 საარტილერიო, საინჟინრო, სანივთო და სასურსათო საწყობი.

გატჩინაში წამოოდგენილი ნადავლის აღრიცხვა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

მოსპობილია: 158 ტანკი, 200 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 497 ტყვიამფრქვევი, 245 ნაღმსატყორცანი, 901 ავტომანქანა, საომარი მასალების, საეურვლისა და სურსათის 30 საწყობი, 5 სარკინიგზო ეშელონი, 5 ორთქლმავალი, 300 ვაგონი, 200 ხაზიდარი ტვირთებიანად.

მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 40.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა.

ტყვედ წამოყვანილია 8 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

ლიუბანის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები რამცი, ზუდკოვო, ვერიგოვჩინა, ნოვინკი, პელგორა, შუპაკი, შარი და რკინიგზის სადგურები რიაბოვო და ზეოლრბიევსკაია.

ნოვგოროდის ჩრდილო-დასავლეთით, დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევის განაგრძობდნენ, დაიკავეს დასახლებული პუნქტები ლიბუნიცი, კრომი, ნეხინო, ბოდრინო, სტაროე ვერეტიე, გოროდნოე ვერეტიე, მალინოვკა, ზელეცი, გოლინო, ოსპინო და რკინიგზის სადგური ლიუბოლიადი.

ვინიცის აღმოსავლეთით და ხრისტინოვკის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშების მოგერიებას და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ხარჯზე.

ფრონტის სხვა უბნებზე მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

25 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაამარცხეს და მოსპეს გერმანელთა 144 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 49 თვითმფრინავი.

* * *

27 იანვრის ოპერაციული ცნობა

27 იანვრის განმავლობაში გატჩინის დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დიაკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ვოლოსოვო, აგრეთვე 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ზაპოროჟნოვო, ლოპუხინკა, ნოვაია ბურია, ნოვაია მედუში, მუზოვიცი, სტარაია ბურია, სლეპინო, ზაჩელკოვო, გოლუბოე და მალოე ტეუკოვო, სტაროე გრებლოვო, ძლოკიცი, რონკოვიცი, ჩერეპოვიცი, სუმინო, გოლუბი და მალი ბუგანიცი, როგოვიცი, ბოლშოე და მალოე კიკერინო, ელიზავეტინო, ნიკოლაევკა, შაპაკოვო, ბოლშოე ტიაგლინო, ვისოკოე-კლიუჩეოვო, ვოსკრესენსკოე და რკინიგზის სადგურები ელიზავეტინო, კიკერინო, სუიდა.

ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დიაკავეს ლენინგრადის ოლქის რაიონული ცენტრი, ქალაქი და რკინიგზის კვანძი ტოსნო.

ტოსნოს დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ვლასნიკი, ზაბორიე, კოვშოვო, ვირკინო, რინდელევო, პოგი, კაიბოლოვო, კუნგოლოვო, ეგლიზი, გოლეშოე ლისინო, სტაროვინი.

ლიუბანის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები რიაბოვო, ლიკი, ვერეტიე, გოროდულინო, ილინსკი პოგოსტი და მთლიანად გაწმინდეს მოწინააღმდეგისაგან რკინიგზა და გზატკეცილი ლიუბან-ტოსნოს უბანზე. ჩვენი ჯარები ზედ მიადგნენ ქალაქ ლიუბანს და გაჩალეს ბრძოლები ქალაქის განაპირა უბნებში.

ნოვგოროდის ჩრდილო-დასავლეთით, დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დიაკავეს დასახლებული პუნქტები დეოსოვო, ზაბორიოტოე, სოტოგბუში, ფანინო, ბოლიციკოვო, გლუბოკი ბორეეოოკი, ოკოგინ ვოლოჩეკი, უნოშეერი, ნოვოე ვერეტიე, მეუნიკი, შაროკი, ვერხნი პრიხონი, ტერებუტიცი.

ვინიცის აღმოსავლეთით და ხრისტინოვკის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდი ძალების იერიშების მოგერიებას და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ხარჯზე.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა, საარტილერიო-ბანალმმტყორცნო სროლა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

26 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაამარცხეს და მოსპეს გერმანელთა 82 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 16 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ გატჩინის დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. ნ შენაერთის ნაწილებმა ძმაფრი იერიშით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ვოლოსოვო. დამარცხებულმა მოწინააღმდეგმა ნაწილებმა ეუწესრიგოდ დაიხიეს უკან, ამასთან დაყარეს დიდძალი საქურეველი, საომარი მასალა და სხვადასხვა სამხედრო მასალა. ჩვენმა სხვა ნაწილებმა წინ წიოწიეს და დიაკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ბრძოლების მსვლელობისას ერთი დღის განმავლობაში მოსპობილია სამ ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წინააღმდეგი ცნობებით, ქალაქ გატჩინაში ჩვენმა ჯარებმა გერმანელებს წაართვეს 10 ტანკი, 100-ზე მეტი ქვემეხი, 85 ნაღმსატყორცანი, 200-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, 2.000 ავტომატი და შაშხანა, ბევრი ავტომანქანა, რკინიგზის ვაგონები ტვირთიანად და დიდი საწყობები საომარ მასალიანად, საურსათიანად და სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად. საბჭოთა მებრძოლებმა გატჩინაში გაათავისუფლეს 5 ათასზე მეტი საბჭოთა მოქალაქე, რომლებსაც გერმანელები უპირებდნენ ხელმანიის კატორღაში გარეკვას.

* * *

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ჭაობიანი ადგილის უალრესად მძიმე პირობებში მოქმედებენ, დიაკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ტოსნო. გერმანელები ეყრდნობოდნენ ხანგრძლივს სიმაგრეებს და შეუპოვრად იცავდნენ ამ ქალაქს. საბჭოთა ნაწილებმა სამი მხრიდან შემოუარეს ტოსნოს და გუშინ ღამით გადამწყვეტი იერიში მიიტანეს. მტრის გარნიზონი მეტწილად მოსპობილია. გერმანელ ჯარისკაცთა ნაწილმა იარაღი დაჭყარა და ტყვედ დაგვნებდა. ტოსნოს სარკინიგზო კვანძში ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა.

* * *

ქალაქ ლიუბანის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. ნ შენაერთის ნაწილებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა ლიუბანის მისადგომებზე და გააჩაღეს ბრძოლები ქალაქის განაპირა უბნებში. დღის განმავლობაში მოსპობილია მტრის 800-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 9 ქვემეხი, 14 ნაღმსატყორცანი, აქედან 3 ექვსლულიანი. გერმანელებს წაართვეთ 12 ქვემეხი, 116 ნაღმსატყორცანი, საომარი მასალების ერთი საწყობი და 3 რადიოსადგური. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა ძმიმე დამარცხება აგვემეს ესპანელთა ლეგიონს. ესპანელ ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი რაოდენობა წამოყვანილია ტყვედ.

* * *

ნოვგოროდის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და წარმატებითს შეტევას ავითარებდნენ. განადგურებულია მტრის ორი პოლკი ქვეითი ჯარი და რამდენიმე მებრძოლი ჯგუფი, რომლებიც მოწინააღმდეგის მიერ შედგენილი იყო წინანდელ ბრძოლებში დამარცხებული დივიზიების ნაშთებისაგან. ნოვგოროდის სამხრეთ-დასავლეთით ნ შენაერთის ნაწილებმა დიაკავეს ათეული რიგი დასახლებული პუნქტები. გერმანელებმა ამ რაიონში თავი მოუყარეს ახალ რეზერვებს, რომლებიც სასწრაფოდ იყვნენ გადმოყვანილნი ფრონტის სხვა უბნებიდან. მაგრამ მოწინააღმდეგე კვლავ იქნა უკუგდებული, ამასთან დიდი ზარალი მოუვიდა.

* * *

ნოვოსოკოლნიკის ჩრდილოეთით მდებარე ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ ორ პოლკამდე ქვეითი ჯარის ძალებით დილაადრიან იერიშით მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. ჰიტლერელებს, რომლებსაც ყველა სახის იარაღის ცეცხლით შეეხვედით, დიდი ზარალი მოუვიდათ, და ისინი უკუიქცნენ პირვანდელ პოზიციებზე. დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ კიდევ ცხრაჯერ გადმოიყვანა იერიშზე თავისი მთვრალი ჯარისკაცები. გერმანელებმა დიდძალი ყუმბარა და ნაღმი გაისროლეს, ბრძოლა ამ უბანზე გვიან საღამომდე გრძელდებოდა. ჰიტლერელთა ყველა იერიში მოგერიებულ იქნა. ჩვენი სანგრების წინ დარჩა მტრის 1.500-მდე გვამი.

* * *

ვინიცის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები გაანგრძობდნენ მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდი ძალების იერიშების მოგერიებას. გერმანელები 20-30 ტანკისაგან შემდგარი ჯგუფებით მოქმედებდნენ და ავიაციის დახმარებით ცდილობდნენ მოეწყვიტათ სუსტი ადგილი საბჭოთა თავდაცვაში. მტრის ტანკების თითოეულ ჯგუფს მოჰყვებოდა ერთიდან ორამდე ბატალიონი ქვეითი ჯარი. ჰიტლერელებს დიდი ზარალი მოუვიდათ, მაგრამ ვერც ერთ უბანზე ვერ მიაღწიეს წარმატებას. ბრძოლის შედეგად საბჭოთა ნაწილებმა მოსპეს მოწინააღმდეგის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. დაზიანებული და დაბეზრანილია გერმანელთა 65 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 5 ჯავშნიანი მანქანა და 13 ავტომანქანა.

* * *

შაი ზღვის ფლოტის ავიაციამ ჩასძარა მოწინააღმდეგის ორი ტრანსპორტი 5 ათასი საერთო ტონაჟ წყალწყვისა, ერთი სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპი და ორი არათვითმავალი კარჭაპი.

* * *

კამენეცკ-პოდოლსკის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა ერთი თვის განმავლობაში ნაღმებზე აფეთქა და ლიანდაგიდან გადაგდო გერმანელთა 27 სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად დამტვრეულია 200-ზე მეტი ვაგონი და პლატფორმა მოწინააღმდეგის ჯარებიანად და სამხედრო ტვირთიანად. 4 იანვარს პარტიზანების ჯგუფმა რკინიგზის ერთ სადგურში დასწვა გერმანელთა ნაწილის გარაჟი იქ მდგომ ავტომანქანებიანად.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო და მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სამეცნიერო სესია, ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XX წლისთავისადმი მიძღვნილი, თავის მეზობარე გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, ლენინის მოძღვრების გენიალურ განმგრძობს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენ ბელადს, საბჭოთა კავშირის მთელი შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს.

ლენინთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით თქვენ შეჭმენით და განამტკიცეთ ბოლშევიკების დიადი პარტიის რიგები, შეჭმენით მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფო და უზრუნველყავით მისი გამარჯვება უბრალოტესი მტრების პირველი შემოტევისას სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში.

შემოქმედებითად აითვისეთ და შემდგომ განავითარეთ რა ლენინის დიადი მოძღვრება, თქვენ, ლენინური გზით წაიყვანეთ ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი და უზრუნველყავით სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

თქვენი გენიალური წინასწარხედვისა და ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყნად, განმტკიცდა სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობა, შეჭნილია ყველაზე მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მძლავრი წითელი არმია, რომელმაც ჩვენი სამშობლო და მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები იხსნა ფაშისტთა მიერ დამონების უდიდესი საფრთხისაგან.

უზრუნველყავით რა განადგურება ხალხის მტრებისა, რომლებიც ცდილობდნენ გამცემლობის გზით შიგნიდან ხელი შეუშალონ სტალინის დიადი პარტიის, თქვენ ბოლშევიკური პარტია გაგაალიცეთ ერთიანი დიადი ერთიანობა, რომელიც ფიზიკურად ძალად, ...

ცნობა

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ კაჭინის ტყეში სამხედრო ტყვე პოლონელი ოფიცრების დახვრეტის გარემოებათა დამდგენი და გამომკვლევი სპეციალური კომისიისა

(მოკლეანილია შემოკლებით)

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი თანამზრახველების ბოროტმოქმედებათა დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიის დადგენილებით შექმნილი იყო გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ კატინის ტყეში (სმოლენსკის მახლობლად) სამხედრო ტყვე პოლონელი ოფიცრების დახვრეტის გარემოებათა დამდგენი და გამომკვლევი სპეციალური კომისია.

კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: საგანგებო სახელმწიფო კომისიის წევრი — აკადემიკოსი **ნ. ნ. बुრდენკო**, (კომისიის თავმჯდომარე), საგანგებო სახელმწიფო **კომისიის** წევრი — აკადემიკოსი ალექსი **ტოლსტოი**, საგანგებო სახელმწიფო კომისიის წევრი—მიტროპოლიტი **ნიკოლოზი**, სრულიად-სლავური კომიტეტის თავმჯდომარე—გენერალ-ლეიტენანტი **ა. ს. გუნდოროვი**, წითელი ჯარისა და წითელი ნავთობმთბარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარე **ს. ა. კოლესნიკოვი**, რსფსრ განათლების სახალხო კომისარი—აკადემიკოსი **ვ. პ. პოტიომკინი**, წითელი არმიის მთავარი სამხედრო-სანიტარული სამმართველოს უფროსი — გენერალ-პოლკოვნიკი **ე. ი. სმირნოვი**, სმოლენსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე **რ. ე. მელნიკოვი**.

კომისიამ მის წინაშე დასმული ამოცანის შესასრულებლად თავის მუშაობაში ჩაება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები.

სპეციალური კომისიის განკარგულებაში **იყო** დიდძალი მასალა, წარდგენილი საგანგებო სახელმწიფო კომისიის წევრის—აკადემიკოს ნ. ნ. ბურდენკოს, მისი თანამშრომლებისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების მიერ, რომლებიც ქალ. სმოლენსკში ჩავიდნენ 1943 წლის 26 სექტემბერს, მისი განთავისუფლებისთანავე, და წინასწარ შეისწავლეს და გამოიძიეს გერმანელთა მიერ ჩადენილი **ყველა** ბოროტმოქმედების გარემოებანი.

სპეციალურმა კომისიამ ადგილზე შეამოწმა და გამოარკვია, რომ ქალ. სმოლენსკიდან მე-15 კილომეტრზე, ვიტებსკის გზატკეცილზე, კატინის ტყის რაიონში, რომელსაც ეწოდება „კოზიი გორი“, გზატკეცილიდან 200 მეტრზე სამხრეთ-დასავლეთით, დნეპრის მიმართულებით, არის საფლავები, რომლებშიც ჩამარხულია სამხედრო ტყვე პოლონელები, დახვრეტილნი გერმანელი ოკუპანტების მიერ.

სპეციალური კომისიის განკარგულებით და სპეციალური კომისიის ყველა წევრისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების დასწრებით საფლავები გახსნილ იქნა. საფლავებში ამოჩრდა დიდძალი გვამი, რომლებსაც პოლონელთა სამხედრო ტანისამოსი ეცვა. გვამების საერთო რაოდენობა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების გამოანგარიშებით აღწევს 11.000.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა დაწვრილებით გამოიკვლიეს ამოღებული გვამები და ის დოკუმენტები და ნივთიერი საბუთები, რომლებიც აღმოჩნდნენ გვამებზე და საფლავებში.

საფლავების გახსნასა და გვამების გამოკვლევასთან ერთად სპეციალურმა კომისიამ დაჰკითხა მრავალ მოწმეს — ადგილობრივ მცხოვრებს, რომელთა ჩვენებითაც ზოსტად არკვევა გერმანელი ოკუპანტების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა დრო და გარემოებანი.

კატინის ტყე

კატინის ტყე ძველთაგანვე **იყო** ამორჩეული ადგილი, სადაც სმოლენსკის მოსახლეობა ჩვეულებრივ ისვენებდა დღესასწაულებში. ახლომახლო მოსახლეობა კატინის ტყეში საქონელს აძოვებდა და სათბობს იმზადებდა. კატინის ტყეში შესვლა ოდნავადაც არ იყო აკრძალული და შეზღუდული.

გერმანელი ოკუპანტების მიერ სმოლენსკის ხელში ჩაგდებისთანავე კატინის ტყეში სრულიად ახალი რეჟიმი დამყარდა. ტყეს იცავდნენ გაძლიერებული პატრულები; ბევრ ადგილას გაჩნდა წარწერა, რომელიც გაფრთხილებას იძლეოდა, რომ განსაკუთრებული საშვების უქონლად ტყეში შესული პირნი ადგილზე იჭრებიან დახვრეტილნი.

განსაკუთრებით სასტიკად იცავდნენ კატინის ტყის იმ ნაწილს, რომელსაც იწოდებოდა „კოზიი გორი“. აგრეთვე დნეპრის ნაპირზე მდებარე ტერიტორიას, სადაც პოლონელ სამხედრო ტყვეთა აღმოჩენილი საფლავებიდან 700 მეტრზე იყო შინსახკომის სმოლენსკის სამმართველოს აგარაკი — დასასვენებელი სახლი. გერმანელების მოსვლისთანავე ამ აგარაკში მოთავსდა გერმანული დაზვერვა, რომელსაც ეწოდებოდა: „537-ე მშენებელი ბატალიონის შტაბი“.

სამხედრო ტყვე პოლონელები სმოლენსკის რაიონში

სპეციალურმა კომისიამ გამოარკვია, რომ გერმანელი ოკუპანტების მიერ სმოლენსკის ხელში ჩაგდებამდე ოლქის დასავლეთ რაიონებში გზატკეცილების მშენებლობასა და რემონტზე მუშაობდნენ პოლონელი სამხედრო ტყვე ოფიცრები და ჯარისკაცები. ეს სამხედრო ტყვე პოლონელები მოთავსებული იყვნენ განსაკუთრებული დანიშნულების სამ ბანაკში 25-დან 45 კილომეტრამდე სმოლენსკის დასავლეთით.

მოწმეთა ჩვენებით და დოკუმენტალური ნასალებით დადგენილია, რომ, საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ, შექმნილი ვითარების გამო, ბანაკების თავის დროზე ევაკუირება ვერ მოხერხდა და ყველა სამხედრო ტყვე პოლონელი, აგრეთვე ბანაკთა მცველი რაზმისა და თანამშრომლების ნაწილი ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს.

სმოლენსკის ოლქის ბანაკებში რომ პოლონელი სამხედრო ტყვეები იყვნენ, ამას დასტურებს ჩვენება მრავალი მოწმისა, რომლებსაც ეს პოლონელები ენახავთ სმოლენსკის მახლობლად ოკუპაციის პირველ დღეებში 1941 წლის სექტემბრამდე ჩათვლით.

პოლონელი სამხედრო ტყვეების შეპყრობა

სმოლენსკის რაიონებში 1941 წ. შემოდგომაზე პოლონელი სამხედრო ტყვეების ყოფნას დასტურებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ გერმანელებს მრავალჯერ შეუპყრიათ ეს სამხედრო ტყვეები, რომლებიც ბანაკებიდან იყვნენ გაქცეულნი.

სოფ. ნოვიე ბატკის ყოფ. მამასახლისმა **ვ. დ. ზახაროვმა** აჩვენა, რომ 1941 წ. შემოდგომაზე გერმანელები გაძლიერებით სჭრიდნენ სოფლებსა და ტყეებს, რათა პოლონელი სამხედრო ტყვეები მოეძებნათ.

მოწმე **ტ. ე. ფატკოვმა**, კოლმეურნემ, აჩვენა:

„ჩხრეკა პოლონელი ტყვეების საძებნად რამდენჯერმე ჩატარდა. ეს იყო 1941 წლის აგვისტო-სექტემბერში. 1941 წლის სექტემბრის შემდეგ ასეთი ჩხრეკა შეწყდა და მერე პოლონელი სამხედრო ტყვეები არავის უნახავს“.

პოლონელი სამხედრო ტყვეების დახვრეტა

ზემოხსენებული „537-ე მშენებელი ბატალიონის შტაბი“, რომელიც „კოზიი გორის“ აგარაკზე იყო მოთავსებული, არავითარ სამუშაოებს არ ეწეოდა. ნისი საქმიანობა ზედიზედ ნაკლებ კონსპირირებული იყო.

მოწმე **ალექსეევი** — კატინის სოფლსაბჭოს სოფ. ბოროკის ყოფ. მცხოვრები, რომელიც ძმასახლისის მიერ გაგზავნილი იყო მოხსენებით აგარაკზე „შტაბის“ პირადი შემადგენლობისათვის ნომსახურების გასაწევად, აცხადებს:

„1941 წლის აგვისტოს დამლევს და სექტემბრის მეტხანს „კოზიი გორის“ აგარაკზე თითქმის ყოველდღე მოდიოდა რამდენიმე სატვირთო მანქანა.

თავდაპირველად მე ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ შემდეგ შევამჩნიე, რომ ყოველთვის, როცა ეს მანქანები აგარაკის ტერიტორიაზე შევიდოდნენ, ისინი წინასწარ ნახევარ საათს, ზოგჯერ კი მთელ საათსაც ჩერდებოდნენ სადღაც სასოფლო გზაზე, რომელიც გზატკეცილიდან აგარაკისაკენ მიდის.

ასეთი დასკვნა ამიტომ გამოვიყვანე, რომ აგარაკის ტერიტორიაზე ნანქანების შესვლის რამდენიმე ხნის შემდეგ მანქანების ხმაური წყდებოდა. მანქანების ხმაურის შეწყვეტასთან ერთად იწყებოდა ცალკეული სროლა. სროლა ერთმანეთს მისდევდა დროის მოკლე, მაგრამ დაახლოებით თანაბარ მონაკვეთში. შემდეგ სროლა წყდებოდა და ნანქანები აგარაკს მიადგებოდა.

მანქანებიდან გამოდიოდნენ გერმანელი ჯარისკაცები და უნტერ-ოფიცრები. ხმა მაღლა ლაპარაკობდნენ ერთმანეთთან და აბანოში მიდიოდნენ დასაბანად, რის შემდეგ ლოთობდნენ. აბანოს იმ დღეებში მუდამ ათბობდნენ“.

შემდეგ ალექსეევამ აჩვენა, თუ როგორ ნახა მან ერთხელ პოლონელი სამხედრო ტყვეების ჯგუფი, რომელიც გაძლიერებულ გერმანელთა ბადრაგს მიჰყავდა, და როგორ ვაიგონა შემდეგ უკვე ნაცნობი ცალკეული სროლა და მიხვდა, რომ პოლონელებს ხვრეტდნენ.

იმის გამოსარკვევად, თუ რა ხდებოდა „კოზიი გორის“ აგარაკზე 1941 წ. შემოდგომაზე, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ასტრონომიის პროფესორის, სმოლენსკის ობსერვატორიის დირექტორის **ბ. ვ. ბაზილევსკის** ჩვენებას.

პროფესორი ბაზილევსკი გერმანელთა მიერ სმოლენსკის ოკუპაციის პირველ დღეებში მათ ძალდატანებით დანიშნეს ქალაქის უფროსის (ბურგომისტრის) მოადგილედ, ხოლო ქალაქის უფროსად გერმანელებმა დანიშნეს ადვოკატი **ბ. გ. მენშაგინი**, რომელიც შემდეგ მათთან ერთად წავიდა,—გამცემი, რომელიც გერმანელთა საორგანოებსა და, კერძოდ, **სმოლენსკის** კომენდანტ **ფონ-შვეცის** განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა.

1941 წ. სექტემბრის დამდეგს პროფესორმა ბაზილევსკიმ თხოვნით მიმართა მენშაგინს, ეშუამდგომლნა კომენდანტ ფონ-შვეცის წინაშე, რომ სამხედრო ტყვეების № 126 ბანაკიდან გაეთავისუფლებინათ პედაგოგი **ეიგლინსკი**. ამასთან დაკავშირებით ალნშაგინმა მიმართა ფონ-შვეცს და, შემდეგ, გადასცა ბაზილევსკის, რომ მისი თხოვნა არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას, რადგან ფონ-შვეცის სიტყვით „ბერლინიდან მიღებულია დირექტივა, რომ განუხრელად გატარდეს უაღრესად სასტიკი რეჟიმი სამხედრო ტყვეების მიმართ და არ იქნას დაშვებული არავითარი ლმობიერება ამ საკითხში“.

„მე ძალა-უნებურად შევესიტყვე, — აჩვენა მოწმე ბაზილევსკიმ.—„რა შეიძლება იყოს ბანაკში არსებულ რეჟიმზე უფრო სასტიკი?“ მენშაგინმა უცანურად შემომხედა, გადმოიხარა ჩემსკენ და ჩუმად მიპასუხა: „შეიძლება იყოს! ბუსები ყოველ შემთხვევაში თვითონ დაიხოცებიან, ხოლო რაც შეეხება პოლონელ სამხედრო ტყვეებს, წინადადებაა, რომ ისინი პირდაპირ მოსპონ“.

„ჩენი დაბნეულობა რომ შეამჩნია, მენშაგინმა კვლავ გამიფრთხილა, რომ ბუცილებელია ეს საქმე უაღრესად საიდუმლოდ შეინახოთ, და შემდეგ დამიწყო ამ საკითხში გერმანელთა მოქმედების ხაზის „განმარტება“. მან მითხრა, რომ პოლონელთა დახვრეტა რგოლია იმ ანტიპოლონური პოლიტიკის საერთო ჯაჭვში, რასაც გერმანია ატარებს და რაც განსაკუთრებით გამწვავდა რუსეთ-პოლონეთის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით“.

ბაზილევსკიმ გააცნო სპეციალურ კომისიას აგრეთვე, თუ რა საუბარი ჰქონდა მას გერმანელთა კომენდატურის მე-7 განყოფილების ზონდერფიურერ გირშფელდთან — ბალტიისპირელ გერმანელთან, რომელიც კარგად ლაპარაკობდა რუსულად:

„გირშფელდი ცინიკური გულახდილობით ნარწმუნებდა, რომ ისტორიულად დამტკიცებულია პოლონელთა მავნებლობა და მათი არასრულფასოვნობა. ამიტომ პოლონეთის მოსახლეობის შემცირება ნიადაგს გაანაყოფიერებს და გერმანიის სასიცოცხლო სივრცის გფფართოების შესაძლებლობას შეჰქმნისო. ამასთან დაკავშირებით გირშფელდმა კვეხნით განაცხადა, რომ პოლონეთში ინტელიგენცია სრულიად არ დარჩენილა, რადგან იგი ჩამოახჩრეს, დახვრიტეს და ბანაკებში დაამწყვდიეს“.

ბაზილევსკის ჩვენება დაადასტურა სპეციალური კომისიის მიერ დაკითხულმა მოწმემ—ფიზიკის პროფესორმა **ი. ე. ეფიმოვმა**, რომელსაც ბაზილევსკიმ მაშინვე, 1941 წლის შემოდგომაზე, უამბო, თუ რა საუბარი ჰქონდა მას მენშაგინთან.

გერმანელთა პროვოკაციის წარმოშობა

1942-43 წწ. ზამთარში საერთო საომარი ვითარება მკვეთრად შეიცვალა გერმანელების საზიანოდ. საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალიერება უფრო და უფრო იზრდებოდა, მოკავშირეებთან სსრ კავშირის ერთიანობა მტკიცდებოდა. გერმანელებმა გადასწყვიტეს პროვოკაცია მოეწყოთ, ამ მიზნით გამოეყენებინათ მათ მიერ კატინის ტყეში ჩადენილი ბოროტმოქმედებანი და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისათვის მიეწერათ ეს ბოროტმოქმედებანი. ამით ისინი ვარაუდობდნენ ერთმანეთისათვის გადაეკიდებინათ რუსები და პოლონელები და დაემალათ თავისი დანაშაულის კვალი.

კატინის პროვოკაციის მომზადებას რომ შეუდგნენ, გერმანელებმა პირველ რიგში ხელი მიჰყვეს „ნოწშეთა“ ძებნას, რომელნიც ჩაგონების. მოსყიდვის ან მუქარის ზეგავლენით გერმანელებისათვის საჭირო ჩვენებას მისცემდნენ.

დაკითხულმა გლეხმა პართენ გაბრიელის-ძე **კისელიოვმა**, დაბადებულმა 1870 წელს, აჩვენა, თუ რა ცინიკური გულახდილობით ამზადებდნენ გესტაპოელები კატინის პროვოკაციას, თუ როგორ სხვადასხვა მეჯარით არაერთხელ აიძულეს იგი გამოსულიყო „დელეგაციების“ წინაშე, რომლებიც კატინის სფლავებს ათვალიერებდნენ, როგორც ვითომ შინსახკომის თანამშრომლების მიერ სამხედრო ტყვე პოლონელ ოფიცერთა დახვრეტის მნახველი.

გერმანიის საგარო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემულ წიგნში, რომელშიც მოთავსებული იყო გერმანელების მიერ შეთითხნილი მასალები „კატინის“ საქმეზე, გარდა ხსენებული **პ. გ. კისელიოვისა**, „მოწმეებად“ დასახელებული იყვნენ **გოდეზოვი** (იგივე **გოდუნოვი**), დაბადებული 1877 წელს, **გრიგოლ სილვერსტოვი**, დაბადებული 1891 წელს, **ივანე ანდრეევი**, დაბადებული 1917 წელს, **მიხეილ ჟიგულევი**, დაბადებული 1915 წელს, **ივანე კრივოზერეცევი**, დაბადებული 1915 წელს, და მათე **ზახაროვი**, დაბადებული 1893 წელს.

შემოწმებით გამორკვეულია, რომ ზემოთ ჩამოთვლილთაგან პირველი ორი (გოდეზოვი და სილვერსტოვი) გარდაცვლილა 1943 წლის წითელი არმიის მიერ სმოლენსკის ოლქის განთავისუფლებამდე; შემდეგი სამი (ანდრეევი, ჟიგულევი და კრივოზერეცევი) გერმახელებთან ერთად წავიდა და შესაძლოა ძალდატანებითაც იყოს წაყვანილი, ხოლო უკანასკნელი — მათე ზახაროვი — სადგურ სმოლენსკის ყოფილი გადამბმელი, რომელიც გერმანელების დროს მამასახლისად მუშაობდა სოფ. ნოვიე ბატეკში, მოძებნილ და დაკითხულ იქნა სპეციალური კომისიის მიერ. ზახაროვმა მოუთხრო კომისიას, თუ რა საშუალებით მიიღეს გერმანელებმა მისგან მათთვის საჭირო ცრუ ჩვენება „კატინის საქმეზე“.

„1943 წლის მარტის დამდეგს,—აჩვენა ზახაროვმა,—ჩემთან ბინაზე მოვიდა გნეზდოვის გესტაპოს თანამშრომელი, რომლის გვარი არ ვიცი, და მითხრა, ოფიცერი გიბარებსო.

გესტაპოში რომ მივედი, გერმანელმა ოფიცერმა თარჯიმანის საშუალებით განმიცხადა: „ჩვენ ვიცით, რომ თქვენ გადამბმელად მუშაობდით სმოლენსკის ცენტრალურ სადგურზე, და ორდა ვეძებენოთ, რომ 1940 წელს სმოლენსკზე იგზავნებოდა ვაგონები სამხედრო პირ პოლონელებიანად სადგურ გნეზდოვოში, რის შემდეგ პოლონელები დახვრიტეს ტყეში „კოზიე გორისთან“.

ამის პასუხად მე განვაცხადე, რომ ვაგონები პოლონელებიანად 1940 წელს მართლაც გადიოდა სმოლენსკზე დასავლეთისაკენ. მაგრამ დანიშნულების სადგური არ ვიცი-მეთქი...

ოფიცერმა მითხრა, თუ ნებით არა გსურს მოგვცე ჩვენება, ძალდატანებით ნოგა